# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N17/გ-17

ქ. მცხეთა

13 ოქტომბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „არმაზის ხეობა" , წარმოდგენილი მისი დირექტორის გაგა მაკარაშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მცხეთობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების სადილით მომსახურება. (CPV:55300000) (წარმომადგენლობითი ხარჯი)

## 2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 სტუმრების მომსახურების ვადა 2014 წლის 14 ოქტომბერი.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 2128 (ორიათასასოცდარვა) ლარი;

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 უზრუნველყოს სტუმრების სადილით მომსახურება.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვა ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვ განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაშ „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურება ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მიღებული მომსახურების ღირებულების 0,1% ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგა იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულებ პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექს 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობებ გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვიტონ ურთიერთ მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ხუხუნაშვილი.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"
შპს „არმაზის ხეობა "
ს/კოდი: 400112757

ბანკი: სს„ საქართველოს ბანკი"

ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE86BG0000000795385100

მის: ქ. მცხეთა, არმაზის ქ.

დირექტორი

გ. მაკარაშვილი

„შემსყიდველი"
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824

ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა NGE11LB0120118541380000

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე